საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისპაანი

ისპაანი

ისპაანი, ი ს ფ ა ჰ ა ნ ი, ქალაქი ცენტრალურ ირანში, მდინარე ზენდერუდის ნაპირზე. თეირანის შემდეგ ქვეყნის მეორე ეკონ. ცენტრი. მოსახლეობა – 1,961 მლნ. კაცი (2016). ანტიკურ წყაროებში (პტოლემე) იხსენიება ასპადანის სახელწოდებით. შუა საუკუნეებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ერთერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და პოლიტ. ცენტრი იყო. 1597/98 შაჰ-აბას I-მა ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცების მიზნით დედაქალაქი ყაზვინიდან ი-ში გადაიტანა, ხელახლა დაგეგმა და ააშენა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დედაქალაქის მართვა-გამგებლობას და ი-ის ტარუღებად ახლო ნათესავებს ანდა უერთგულეს პირებს ნიშნავდა. 1599-იდან 1618-მდე ი-ს სპარსელი ტარუღები განაგებდნენ, 1618-იდან კი, სპეც. სამეცნ. ლიტ-რაში მიღებული თვალსაზრისით (ქ. პატკანოვი, ვ. მინორსკი, დ. ლენგი, ვ. გაბაშვილი, კ. კუცია და სხვ.), ეს ფრიად მნიშვნელოვანი თანამდებობა ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველების, უმთავრესად საქართვ. სამეფო გვარის წარმომადგენელთა ხელში იყო. ცნობების სიმცირის გამო ჯერჯერობით არ ხერხდება ყველა ქართვ. ტარუღის ვინაობის დადგენა. ცნობილი არიან ი-ის ქართვ. ტარუღები: ხოსრო-მირზა [როსტომი, რ-იც 1618–39 პირადად მართავდა ი-ს, ხოლო 1633–58 – ნაიბების (სპარსელი – მირ-ყასებ ბეგი, ქართველები – ფარსადან გორგიჯანიძე და პაატა-ბეგი) მეშვეობით]; ალექსანდრე ბატონი შვილი (1666–77, ვახტანგ V შაჰნავაზის ძე); მაჰმადყული-ხანი (1703–07, კონსტანტინე ერეკლე I-ის ძე); ბატონიშვილი ქაიხოსრო ლევანის ძე (1707–09); როსტომ ლევანის ძე (1709–18); დავით III (1718–22, ერეკლე I-ის ძე) – უკანასკნელი ქართვ. ტარუღა.

ი-ის არქიტ. ძეგლებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სასახლე „ჩეჰელ-სოთუნ" („ორმოცი სვეტი"), რ-ის ზოგიერთი ფრესკა ალავერდი-ხან უნდილაძემ მოახატვინა. სხვა-დასხვა წყაროს ცნობით, მათზე ქართ. წარწერები ყოფილა. ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია აბას I, რ-საც გვერდით ალავერდი-ხან უნდილაძე უზის. ი-ის ღირსშესანიშნაობათაგან საყურადღებოა მდ. ზენდერუდზე ალავერდი-ხანის მიერ აგებული 33-მალიანი ხიდი, რ-იც მისი სახელობისაა.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., უნდილაანთ ფეოდალური სახლი ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), კრ.: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972; კ უ ც ი ა კ., ისფაჰანის ქართველი ტარუღები (1618–1722), იქვე; გ ვ ი ლ ა ვ ა ო., ისფაჰანი, შირაზი, ქაშანი..., თბ., 1980; თ ო დ უ ა მ., ქართული ნეკროპოლი ირანში (წინასწარი ცნობები), წგ.: ქართულ-სპარსული ეტიუდები, I–II, თბ., 1971; კ ი კ ნ ა ძ ე რ., ირანი, თბ., 1979; ნ ა ჭ ყ ე ბ ი ა ნ., ირანი, თბ., 1972.

დ. კაციტაძე